პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ოთხშაბათი, 10 თებერვალი 1926 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

30 (1025) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## გადავიდეთ სიტყვიდან საქმეზე

1903 წელში დაბადებულების წითელ არმიაში გამოწვევის დროს ახალწვეულთა საგრძნობ ნაწილს შეადგენდა კომკავშირლები, რომლებიც გამოსული არიან მუშებისა და უღარიბესი გლეხების წრეებიდან. წარსულ წლებთან შედარებით ამ უკანასკნელი წლის გამოწვევის დროს კომკავშირელთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

კომკავშირელთა რიცხვის ასეთმა გაზრდამ ჩვენი ნაწილების მომუშავეთა წინაშე და საერთოდ წამოაყენა ძლიერ რთული ამოცანები, როგორიც არის: სწორი ხელმძღვანელობის გაწევა კომკავშირელთა შორის მუშაობისათვის, სპეციალური ამხანაგების მიმაგრება მათზე, კომკავშირელთა პოლიტიკურად აღზრდა, მათი პარტიაში გადარიცხვის საკითხები და სხვა მრავალი. ყველა ეს საკითხები კი მოითხოვენ ნაწილებში მომუშავე პარტ. ამხანაგებისაგან სწორი ალღოს აღებას და გეგმიან მუშაობას კომკავშირელთა შორის, რომლებისგან მომავალში უნდა შეივსოს ჩვენი პარტიის რიგები და რომლებისგანაც ჩვენ უნდა მივიღოთ ღირსეული კომუნისტები.

ამ საკითხს ამას წინად ჩატარებულმა პირველი და მეორე დივიზიის პარტ-კონფერენციებმაც მიაქციეს უდიდესი ყურადღება და გამოიტანეს სათანადო დადგენილებები ამ დარგში მუშაობის შესახებ მომავალში. პარტ-კონფერენციების დადგენილებები სავსებით ემყარება და ატარებს პრაქტიკაში მე-14 ყრილობის დადგენილებას კომკავშირელთა შორის მუშაობის შესახებ წითელ ჯარში.

როგორი ამოცანები იქნება ჩვენს წინაშე მომავალში, რა უნდა გააკეთოს თითეულმა ნაწილმა და მისმა პარტ-ორგანიზაციამ ამ დარგში და რა იქნება თითეული კომკავშირელის მოვალეობა? აი კითხვები, რომლებიც მოითხოვენ ჩვენგან სათანადო პასუხის გაცემას. საკითხები უკვე ყველასათვის ნათელია, მხოლოდ საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა და ამ საკითხისადმი სერიოზულად მიდგომა. სათანადო ორგანოების მიერ დადგენილებები უკვე გამოტანილია და ჩვენი მოვალეობაა მისი ცხოვრებაში გატარება, რომ ამით ჩვენ შევძლოთ ჩვენი ჯარის ნაწილებში მყოფ კომკავშირელთა მასა აღვზარდოთ ლენინისტურად და წავიყვანოთ ის სწორი გზით.

ამასთანავე ერთად საჭირო იქნება, რომ ადგილებზე მომუშავე ამხ-გებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ ყველა იმ მოვლენებს, რომლებსაც შეუძლიათ რაიმე ზიანი მიაყენონ ახკომკავშირელთა ორგანიზაციებს. ყოველმა კომკავშირელმა კარგად უნდა შეისწავლოს თავისი მოვალეობა, წითელი არმიის აღმშენებლობა, მისი დისციპლინა და განსაკუთრებით ყველა ის დადგენილებები, რომლებიც გამოტანილ იქნა ჩვენი უმაღლესი ორგანოების — საკავშირო კომუნისტური პარტიის მეთოთხმეტე ყრილობისა და ჩვენი სადივიზიო პარტ-კონფერენციების მიერ.

## ეხლა მაინც რას იტყვიან.

ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს, რომ საქართველოს მენშევიკები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ კვლავ მოიპოვონ თავიანთი ბატონობა საქართველოში. ამ მიზნისათვის ისინი მიმართავენ ყოველგვარ საშუალებებს და ყველგან ყველას ეჩხირებიან საზღვარ გარეთ, რომ გაუწიონ მათ დახმარება თავიანთი მიზნების მისაღწევად, ან და რაიმე სთქვან „საქართველოს მდგომარეობის“ შესახებ.

ამ რამოდენიმე დღეში უკვე ხუთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოს მენშევიკური მთავრობის ბატონობა დამხობილ იქნა მუშებისა და გლეხების მიერ. ხუთი წელია, მას შემდეგ, რაც საქართველოს საზღვრები დასტოვეს მენშევიკური პარტიის ბელადებმა და გადაბარგდენ დასავლეთ ევროპაში. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მოწამე შევიქენით, ერთის მხრივ, საქართველოში მშრომელი ხალხის ჩქარი ნაბიჯებით წინ სვლის პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ ფრონტებზე და მშვიდობიან აღმშენებლობის ყოველ დარგში, მეორეს მხრივ კი—გაფთრებული მუშაობის, რომელსაც აწარმოებს საზღვარ გარეთის ბიურო ბ. ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ დაჰგმო მენშევიკ-მუშებმა და ღარიბ გლეხებმა მენშევიკების პოლიტიკა და როგორ ამოუდგენ გვერდში საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას, საერთო თანამშრომლობისათვის. ისიც დავინახეთ, თუ რა სარგებლობა მოუტანა საქართ. მუშებსა და გლეხებს მენშევ. საზღვარგარეთის ბიურომ აგვისტოს ავანტიურით, რომლის შემდეგ თვით მათშიაც, ე. ი. ემიგრაციაშიც იჩინა თავი უთანხმოებამ.

საქართველოდან გადახვეწილი მენშევიკები არწმუნებდენ ყველას თავიანთ „სიმართლესა“ და „სოციალისტობაში“. კარგა ხანს ქონდა მათ სიკრუეს გასავალი დასავლეთ ევროპაში. ბევრი გამოჩენილი და ჩვენდამი მტრულად განწყობილი სახელმწიფოებიც უჯერებდენ მათ.

მაგრამ საზღვარი ყველაფერს აქვს. საბჭოთა კავშირის ეკონომიურად და პოლიტიკურად გაძლიერებამ და საქართველოს მშრომელი ხალხის ბრძოლამ ქედი მოახრევინა მის წინაშე ყველა მის მტრებს და აიძულა ანგარიში გაეწიათ მის სულიერ განწყობილებისათვის.

როგორც დღევანდელი რადიო გადმოგვცემს, ინგლისის თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრს—ჩემბერლენს მისცეს შეკითხვა: შეიძლება თუ არა აღიძრას საკითხი ერთა ლიგის წინაშე, საქართველოს მდგომარეობის შესახებ, რომ მას მიეცეს თვითგამორკვევის უფლებაო. ამაზე ჩემბერლენი უპასუხებს, რომ ეს საბჭოთა კავშირის შინაური საქმეა და ინგლისის მთავრობას არ შეუძლია ჩაერიოს მასში. აი პასუხი, რომელიც ცხადყოფს, თუ როგორ პოზიცია ადგია ის ხალხი, რომლებიც დღემდე ჩვენი მტრობისა და ულტიმატუმების გამოგზავნის მეტს არაფერს არ აკეთებდენ.

ეხლა მაინც ისწავლონ ჭკუა, იმ პირებმა, რომლებიც საქართველოს „თვითგამორკვევის“ მიღწევას ფიქრობენ ჩემბერლენებისა და მათი ძმების დახმარებით. საქართველოს მშრომელები კი განაგრძობენ იმ მუშაობას, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია.

—ი.

# ახალი რადიო ამბები

## ჩემბერლენი საქართველოს შესახებ

ინგლისის თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრ ჩემბერლენს მისცეს შემდეგი შეკითხვა: შეიძლება თუ არა აღძრულ იქნას ერთა ლიგის წინაშე საკითხი საქართველოს მდგომარეობის შესახებ საქართველოზე თივთგამორკვევის უფლების მინიჭების შესახებ?

ჩემბერლენმა პასუხად განაცხადა, რომ ეს საკითხი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეს, რომელშიაც არ შეუძლია ჩარევა ინგლისის მთავრობას.

## შიმშილობა ბესარაბიაში.

უკანასკნელ კვირაში ბესარაბიაში შიმშილმა საშიშარი ხასიათი მიიღო.

გლეხთა პარტიის ლიდერმა ჩინ-ჩალინამ „ადოვერული“-ს თანამშრომელთან განაცხადა, რომ ბესარაბიის გლეხობა შიმშილით კვდება და თუ დახმარებას არ გაიღებს მთავრობა, დიდი მღელვარება მოხდებაო.

## სამხრეთ-სლავიის მთავრობა გადადგა.

გადადგა სამხრეთ-სლავიის მთავრობა. მთავრობის გადადგომის მიზეზია რადიკალების უარი ხორვატიის გლეხთა პარტიის ლიდერ რადიჩთან თანამშრომლობაზე.

პრემიერ პაშიჩს მიენდო ახალი მთავრობის შედგენა ურადიჩოდ.

## როდის გაიხსნება განიარაღების კონფერენცია.

განიარაღების კონფერენციის მოწვევის ვადას, როგორც ცნობებიდან სჩანს დააწესებს ერთა ლიგის საბჭო მარტის სხდომებზე.

## საბჭოთა კავშირი და განიარაღების კონფერენცია.

ფრანგული გაზ. „ტანი“ აღნიშნავს, რომ საჭირო იყო განიარაღების კონფერენციის გადადება, სანამ საბჭოთა კავშირსა და შვეიცარიას შორის მოხდებოდეს შეთანხმება, ვინაიდან ყველა დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის მონაწილეობით განიარაღების კონფერენციაში. უნდა ვისურვოთ, რომ უთანხმოება, რომელიც მეტად ძნელ მდგომარეობაში აყენებს ერთა ლიგას, გადაჭრილ იქნას უფრო სხვა საშვალებით, ვიდრე დღემდის ურჩევდენ.

## ნეტტეს მკვლელები.

დიპლომატიურ შიკრიკ ნეტტეს მკვლელები—ძმ. გავრილოვიჩები არიან ლიტვის მოქალაქეები, ეროვნებით პოლონელები. ერთი ძმა ლეოპოლდი მსახურობდა მაიორად პოლონეთის არმიაში. მკვლელები წინასწარ მივიდენ რიგაში, დაბრუნდენ იმავე დღეს უკან და გაემართენ სადგ. რემბატზე მოსკოვის მატარებლის შესახვედრად.

# საბჭოთა კავშირში

## წითელი არმიის კადრის უფშემადგენლობის უზრუნველყოფა.

საკავშირო სახკომსაბჭომ წარუდგინა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად დებულების გეგმა წითელი არმიის კადრის უფშემადგენლობის უზრუნველყოფის შესახებ. დებულების თანახმად სახელმწიფო უზრუნველყოფის უფლებით სარგებლობენ ყველა—კადრის უმაღლესი, უფროს, საშუალო, ვადის ზევით მსახურთა და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის პირები, იმათ გამოკლებით, რომლებიც დებულობენ ჯამაგირს პროფკავშირთან შეთანხმებით დადებულ განაკვეთის მიხედვით.

სახელმწიფო უზრუნველყოფა ითვალისწინებს პენსიას უფშემადგენლობის პირთა და მათი ოჯახებისთვის, საექიმო დახმარებასა და დამატებითი დახმარებას.

## ავსტრიის მუშათა დელეგაცია სსრკ-ში.

### ახლო დღეებში დელეგაცია ჩამოვა საქართველოში.

7 თებერვალს ავსტრიის მუშათა დელეგაციამ დაათვალიერა მუშა-მოსამსახურეთა დასასვენებელი სახლები და სანატორიები.

8 თებერვალს დელეგაციამ ინახულა პროფინტერნის მთავარი მდივანი ლოზოვსკი, რომელთანაც მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

გუშინ, 9 თებერვალს დელეგაცია გაემგზავრა უკრაინაში; უკრაინიდან დელეგაცია გაემგზავრება აზერბეიჯანსა და საქართველოში.

## წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება.

საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილებით მოკლული დიპლომატიური შიკრიკი ნეტტე და დაჭრილი მახმასტალი დაჯილდოებულ იქნენ წითელი დროშის ორდენით.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

**ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲨᲘ.**

წინასწარი მომზადების კამპანია სამხ.—ოსეთში მიმდინარეობს ნოემბრიდან. სიების შედგენა ყველა თემებში უკვე დასრულებულია.

დაარსებულია 15 სარაიონო საარჩევნო კომისია. რაიონებთან მიმაგრებული არიან პასუხისმგებელი ამხანაგები არჩევნების სახელმძღვანელოდ.

სოფლებში უკვე დასრულდა ადგილობრივ საბჭოების მიერ თავიანთი მუშაობის ანგარიშების ჩაბარება ადგილობრივ მოსახლეობისათვის.

**ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘ.**

საარჩევნო კომისიები 1 იანვრამდე ყველგან არჩეული იყო. მთელი სვანეთის მაზრა დაყოფილ იქნა 17 საარჩევნო უბნათ. ამომრჩეველთა სიები ყველა სოფლებში შესდგა. სამაზრო აღმასკომი თავის მუშაობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს არჩევნების დასრულების შემდეგ საბჭოების სამაზრო ყრილობაზე.

**ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.**

არჩევნები დაიწყო და დასრულდა ზოგიერთ თემებში. ყაზბეგის თემის საბჭოში არჩეულია 63 კაცი, ამათგან 61 მამაკაცია და 2 ქალი. დეპუტატებათ გავიდა 7 კომუნისტი, 4 კანდიდატი, 5 კომკავშირელი და 47 უპარტიო.

**ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.**

განზრახულია ზოგიერთი საარჩევნო კომისიები გაუქმდენ და მიეწერონ სხვა თემებს. საარჩევნო უფლების მქონეთა და არა მქონეთა სიების შედგენა ყველა თემებში დამთავრდა. მაზრა დაიყო 10 საარჩევნო რაიონათ.

**ᲠᲐᲭᲐᲨᲘ.**

რაჭის მაზრაში წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა დამთავრდა 5 თებერვლისათვის. ყველა თემსაბჭოებმა უკვე ჩააბარეს ანგარიშები ამომრჩევლებს.

მაზრაღმასკომის წარმომადგენლებმა მოხსენებები გააკეთეს მაზრის 15 თემში. სიები ყველგან შედგენილია. გლეხებისათვის არჩევნებში მონაწილეობის მიღების გასაადვილებლათ ზოგიერთი თემები დაყოფილია საარჩევნო უბნებათ.

არჩევნები დაიწყება თემებში 15 თებერვლიდან.

## ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

**ᲡᲝᲤ. ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲨᲘ.**

7 თებერვალს მოხდა მცხეთის საბჭოს არჩევნები. საარჩევნო ყრილობას დაესწრო დიდძალი ხალხი. არჩევნებში დიდ მონაწილეობას ღებულობდენ ქალებიც. საბჭოში არჩეული იქნა 17 წევრი და 8 კანდიდატი.

**ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ.**

თელავის მაზრაში არჩევნები დაიწყო 31 იანვარს. დღემდე ჩატარებულია შემდეგ თემებში:

შაშიანის თემი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მცხოვრებთა 60 პროცენტმა. საბჭოში აირჩიეს 54 დეპუტატი. აქედან კომუნისტი 7, კანდიდატი 4, კომკავშირელი 5, ქალები 10 და დანარჩენი უპარტიოები.

შრომის თემი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მცხოვრებთა ნახევარმა. სულ აირჩიეს 39 დეპუტატი აქედან პარტიულია 7, დანარჩენი კი უპარტიოებია.

აკურის თემი. აკურის თემში არჩევნებზე გამოცხადდა მცხოვრებთა 61 პროცენტი. საბჭოში აირჩიეს 44 დეპუტატი.

დ.

# Ს Ა Მ Ხ Ე Დ Რ Ო   Ს Ა Ქ Მ Ე.

## ᲫᲐᲦᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ.

ძაღლების გამოყენებას წარსულ იმპერიალისტურ ომში მიმართვდენ განსაკუთრებით დასავლეთ (საფრანგეთის) ფრონტზე. სამხედრო ძაღლებს ზოგიერთ შემთხვევაში ისეთი დაუფასებელი დახმარება მოჰქონდა ბრძოლაში, რომ დღეს მთელი ქვეყნების არმიებში მეტად სერიოზული ყურადღება ეძლევა ძაღლების გაწვრთნას



დობბერმან—პინჩერის ჯიშის ძაღლი, რომელსაც წვრთნიან სადარაჯო და ძიების სამსახურში.

კავშირის საქმეში. ჩვენს წითელ არმიაში ეს საკითხი მოგვარებულია და ამიტომ საინტერესოა ვიცოდეთ, რაში მდგომარეობს ძაღლების სამსახური.

პირველ ყოვლისა ძაღლები მსახურობენ კავშირის საქმეში. კარგად გაწვრთნილი ძაღლს შეუძლია საკმაო სწრაფად და მნიშვნელოვან მანძილზე მიიტანოს ცნობა აღნიშნულ ადგილზე, ძლიერი ცეცხლის ქვეშაც კი. ის ნაკლებ შესამჩნევია, ნაკლებ იპყრობს მოწინააღმდეგის ყურადღებას და ამიტომ ჩქარა და საიმედოდ მიიტანს განკარგულებას (ცნობას). ზოგიერთ შემთხვევაში, კავშირის საქმეში მომუშავე ძაღლს გადაატანიებენ კოჭებს კაბელით.

1917 წ., როცა ფრანგებმა გაარღვიეს გერმანიის ფრონტი, გერმანიის ერთ დივიზიაში 9 საათის განმავლობაში, გრიგალისებურ ცეცხლ ქვეშ, კავშირის სამსახურს ასრულებდენ მხოლოდ ძაღლები. ერთმა ძაღლმა დღე-ღამის განმავლობაში გააკეთა 9 ვერსი გზა 9-ჯერ.

მეორე მაგალითი. 1918 წ. საფრანგეთის ფრონტზე იერიშის დროს 6 კავშირის ჯარისკაცმა და 7 ძაღლმა 26 წუთის განმავლობაში გაიყვანეს იმდენი ტელეფონის ქსელი, რომლის შესრულებასაც ვერ შესძლებდა 34 კაცი 1,3 მეოთხ. საათის განმავლობაში.

იმავე ომში ავსტრიის არმიაში იყო შემთხვევა, როცა 24 ვერსის მანძილზე ძაღლმა მიიტანა ცნობა 2 საათსა და 20 წუთში.

ყველა ეს გვიმტკიცებს, რომ ძაღლების მუშაობა კავშირის საქმეში არა მარტო უმსუბუქებს ადამიანს მუშაობას, არამედ ხშირად სწევს მის მაგივრობას ბრძოლის ძნელ პირობებში და მაშასადამე, იცავს ადამიანის სიცოცხლეს; ამას გარდა ამათუიმ ამოცანის ასრულებაში მას გაცილებით ნაკლები დრო სჭირდება.

ზოგიერთ ძაღლს ასწავლიან საფოსტო მტრედებიან კალათის გატანას მოწინავე ხაზზე.

გახურებულ ბრძოლის დროს, როცა ჩვეულებრივად ყოველგვარი კავშირი სწყდება და არ არის საშუალება კავშირი იქონიო ზურგთან, ძაღლს მიაქვს ხაზზე კალათი მტრედებით, რომელთა საშუალებითაც შეიძლება გაგზავნილ იქნას საიმედოთ და სწრაფად.

ამრიგად კარგად გაწვრთნილი ძაღლი საბრძოლო გარემოების ზოგიერთ შემთხვევებში წარმოადგენს ერთად-ერთ ერთგულსა და საიმედო მოკავშირეს.

ვ.

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲜᲘᲦᲑᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲘ

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, თუ როგორ სჩანს მსროლელი ღია ადგილსა და სხვა და სხვა მანძილზე. ეხლა განვიხილოთ კიდევ რამოდენიმე მოვლენა, რომლებიც ამჟღავნებენ მსროლელს შორ მანძილზე. შორ მანძილზე მეტად იპყრობს მოპირდაპირის მოთვალთვალის ყურადღებას ხიშტის, შაშხანის ან ქვაბის ბრჭყვიალი; შემდეგ ტანისამოსის ფერი, ხოლო განსაკუთრებით ტანისამოსის ნაწილი, როცა ის მკაფიოდ განსხვავდება ადგილმდებარეობისაგან, რომელიც ძლიერაა განათებული მზის სხივებით.

გარდა ამისა ჩქარა შეიძლება მსროლელთა შემჩნევა, როცა ისინი შეჯგუფულად არიან მოთავსებული ღია ადგილზე ან სწორსა და თანაბარ მანძილზე ერთიმეორესაგან. გადარბენის დროს მსროლელი ადვილი შესამჩნევია ადგილიდან დაძვრისას, ან და იმ შემთხვევაში, როცა მსროლელი წინსვლის დროს ძალიან მოძრაობს მთელი სხეულით და იქნევს ხელებს.

აი ყველა ის თავისებურობანი, რომლებიც საშუალებას აძლევენ მტრის მოთვალთვალეს სწრაფად და ადვილად შეამჩნიოს მსროლელი. რომ მტრის მოთვალთვალეს არ მივსცეთ საშუალება ადვილად შეამჩნიოს ჩვენი მსროლელი, უნდა ვცდილობდეთ არ გავაკეთოთ ისეთი მოძრაობა და არ მოვთავსდეთ ისეთ ადგილებზე, რომ მტერმა ადვილად შეგვამჩნიოს.

თუ რომ მსროლელი, მისი იარაღი და ყოველი მოძრაობა შესამჩნევია 800-დან 1500 ნაბიჯზე, ცხადია, ყოველივე ეს მით უფრო შესამჩნევი იქნება საშუალო მანძილზე. ამას გარდა 800-1000 ნაბიჯის მანძილზე მსროლელის შემჩნევა შეიძლება გრძელ მანძილზე გადარბენით და გადარბენის შემდეგ ნელა დაწოლით. მსროლელი ადვილი შესამჩნევია, როცა ის მაღლა აიმართება მიწიდან ან დაწოლის დროს გაუფრთხილებლად ასწევს თავს, ხელებს და ფეხებს.

ბოლოს, 200-800 ნაბიჯზე მსროლელის ყოველი მოძრაობა ადვილი შესამჩნევია და აქ ძალიან ჩქარა მჟღავნდება მსროლელის მოახლოება, თუ ის არ უფრთხილდება თავს და არ ჰფარავს თავის მოძრაობას.

ზემომოყვანილ მაგალითებიდან სჩანს, რომ მტრის მოთვალთვალის მიერ მსროლელის შემჩნევა—არ შემჩნევა დამოკიდებულია:

1. თვით მსროლელსა და მის ქცევაზე;

2. მისი ტანისამოსის ფერზე და

3. იმ იარაღ-საჭურველზე, რომელიც აქვს მსროლელს.

ი. ბ.

# ᲠᲐᲢᲝᲛ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲤᲐᲡᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.

პარტიის მე-14 ყრილობაზე გამართულ დისკუსიას საფუძვლად ედო არსებითად საკითხი გლეხობის შესახებ. პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი უთანხმოების ღერძი იყო ყრილობაზე ოპოზიციისა და პარტიის უმრავლესობის შორის.

ოპოზიციის შეცდომები ახალი ეკონომიური პოლიტიკის, სახელმწიფო კაპიტალიზმის, კოოპერაციის როლის შეფასების შესახებ და სხვა—წარმოსდგებიან სახელდობრ სოფლის კლასობრივ ურთიერთობის შემცდარ შეფასებისაგან. რაშია ოპოზიციის ძირითადი შეცდომა? იმაში, რომ ის გადაჭარბებულად ხედავს სოფლის ფენებად დაყოფის სვლას, აზვიადებს ბობოლების გაძლიერებას და ვერ აფასებს სათანადოდ საშუალო შეძლებულთა მნიშვნელობასა და როლს.

რაში გამოიხატება სოფლის ფენებად დაყოფის შინაარსი რევოლიუციის შემდეგ? იმაში, რომ ერთის მხრივ სწარმოებს გამოყოფა და გაძლიერება დარიბთა მყვლეფელ ბურჟუაზიულ-ბობოლების ზემოფენების ეკონომიური როლისა; მეორეს მხრივ ძლიერდება ღარიბთა რიგები და, მესამე მხრივ იზრდება და ძლიერდება რიცხვობრივად საშუალო შეძლებულთა ფენა, რომელიც თამაშობს სოფლად ზრდის გზაზე შემდგარ ეკონომიურსა და პოლიტიკურ როლს.

როგორ შეაფასა პარტიამ სოფლის ფენებად დაყოფის მიმდინარეობა?

პარტიამ სცნო, რომ ეს ფენებათ დაყოფა შეიცავს ერთგვარ საშიშროებას. ეს საშიშროება არ უნდა იქნას დამცირებულად ან გადამეტებით შეფასებული. არ უნდა მივჩქმალოთ ბურჟუაზიულ კაპიტალისტური ფენის ზრდა და გავლენა, მაგრამ არც მისი ზრდის გაზვიადებაა საჭირო. საჭიროა ზომების მიღება ღარიბთა შესაკავშირებლად და მათზე ნივთიერ დახმარებისათვის, მაგრამ იმავ დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცენტრალურს სამეურნეო ძალას სოფლად წარმოადგენს საშუალო შეძლების მქონე და რომ ამიტომ ძირითადი ამოცანაა—გაძლიერებულ იქნას კავშირი პროლეტარიატისა და ღარიბების სახელდობრ საშუალო შეძლების გლეხობასთან.

თავიდათავი, რასაც ხედავს ოპოზიცია სოფლად—ეს არის ბობოლის საშიშროება. ასეთი შეფასებიდან, რასაკვირველია, აუცილებლად გამომდინარეობს გლეხის ეკონომიკაში საშუალო შეძლებულთა ცენტრალური მნიშვნელობის დაჩრდილვა, პროლეტარიატსა და სოციალისტურ აღმშენებლობასთან კავშირის საქმეში მისი მთავარი როლის მივიწყება.

რატომ გაილაშქრა პარტიამ ოპოზიციის წინააღმდეგ ამ საკითხში, ე. ი. საშუალო შეძლებულთა როლის შემცდარად შეფასების წინააღმდეგ? იმიტომ, რომ საშუალო ფენები, მიუხედავად მათი ფენებად დაყოფისა, შეადგინენ გლეხობის ძირითად მასას, და შემცდარი პოლიტიკა ამ მასის მიმართ ზიანს მიაყენებს პროლეტარიატის დიქტატურას, გასწყვეტს მუშურ-გლეხურ კავშირს.

—სოციალიზმის გზით წინსვლა—გვასწავლიდა ჩვენი ვ. ი. ლენინი—შეიძლება მხოლოდ სოფლის ძირითად სამეურნეო მასასთან ერთად, ე. ი. საშუალო შეძლების გლეხობასთან ერთად ღარიბებთან კავშირში.

გააზვიადო ბობოლას ეკონომიური ძლიერება და, პირიქით, ვერ შეაფასო სათანადოდ საშუალო შეძლებულთა მნიშვნელობა—ეს იმას ნიშნავს, რომ დაჰკარგო სწორი გზა სოფლის ჩაბმისა სოციალისტურ აღმშენებლობაში. მოუწოდო ამ ჟამად პარტიას მიაქციოს უმთავრესი ყურადღება ბობოლას საშიშროებას,—ეს ნიშნავს ჩამოაშორო პარტია ძირითად გზას, ე. ი. ჩამოაშორო მისი ყურადღება საშუალო შეძლების გლეხს, როგორც „ჩვენი მიწათ მოქმედების ცენტრალურ ძალას“.

რას ნიშნავს წამოაყენო პირველ რიგში ბობოლას საშიშროება? ეს ნიშნავს გააღვივო კლასობრივი ბრძოლა სოფლად. მაგრამ ეს გზა ამ ჟამად საზიანო იქნებოდა, ვინაიდან ის უსათუოდ ჩამოგვაშორებდა ჩვენ საშუალო შეძლების გლეხს, დაუახლოვებდა მას ბობოლას და დაარღვევდა ჩვენს სამეურნეო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საწარმოო ძალთა განვითარებისაკენ სოფლად.

პარტია ვალდებულია დაინახოს სოფლად ბობოლას ზრდის საშიშროება, რათა არას შემთხვევაში არ გადაუხვიოს ორგანიზაციის სწორ ხაზსა და ღარიბთა და მოჯამაგირეობის დარაზმვას ბობოლას წინააღმდეგ, რომ უკანასკნელის წინააღმდეგ წარმოებულ იქნას შეუდრეკი და აუცილებელი ხანგრძლივი ბრძოლა. ბობოლას საშიშროება მოითხოვს პროლეტარიატის პარტიისაგან იმ ეკონომიურ და უფლებრივ ბერკეტების ყოველმხრივ გაძლიერებას, რომლებიც ხელთ აქვს პროლეტარულ სახელმწიფოს სოციალისტური მრეწველობის, სახელმწიფო კრედიტის, კოოპერაციის, საგადასახადო სისტემის სახით ერთის მხრივ და სოფლად-საბჭოების, ღარიბთა სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ ორგანიზაციების გაძლიერების სახით მეორეს მხრივ.

როცა ჩვენ მჭიდროდ შევაკავშირებთ საშუალო შეძლებულსა და ღარიბს ჩვენს მოზარდ სოციალისტურ მრეწველობასთან, პროლეტარიატთან, როცა გავაძლიერებთ ღარიბთა ორგანიზაციებს და შევქმნით მტკიცე მატერიალურ (ნივთიერ) საფუძველს და კოოპერაციის საშუალებით-ღარიბებისა და საშუალო შეძლებულთა კავშირს,—მაშინ სრულიად უმტკივნეულოდ საწარმოო ძალთა განვითარებისთვის, დაყვანილ იქნება მინიმუმამდი ბობოლების ეკონომიური მნიშვნელობა.

კოოპერაციის ზრდასა და კოოპერაციისვე საშუალებით გლეხობის ძირითადი მასის მეურნეობის კულტურული დონის ამაღლებასთან ერთად აუცილებელი საჭიროა უფრო და უფრო მჭიდრო კავშირი სოციალისტურ მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის შორის. ასეთი კავშირის შექმნით ბობოლა თავისთავად განცალკევდება, გაირიყება და სრულიად დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც სოციალისტური აღმშენებლობის მოწინააღმდეგე ძალა.

ეს გზა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პროლეტარიატსა და ღარიბ გლეხობას კავშირი ექნება საშუალო შეძლების მასასთან; აი რატომ იბრძოლებს ყოველმხრივ პარტია ყოველგვარ მიდახრის წინააღმდეგ, რომელიც კი შეეცდება საშუალო შეძლებულთან კავშირის გაწყვეტას.

ფ. ხ.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## მჭიდრო კავშირი კომკავშირთან.

პირველი დივიზიის მეხუთე პარტ-კონფერენ. დადგენილებიდან.

პარტია კომკავშირის მუშაობას ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა. მაგრამ კომკავშირის ორგანიზაციულად ზრდა-გაფართოვებამ უკანასკნელ წლებში უფრო მეტი ყურადღების მიქცევა მოითხოვა პარტიისაგან.

ამ ქამათ თანახმათ მე-14 პარტყრილობის დადგენილებისა პარტია ანხორციელებს მიცემულ დირექტივებს ყოველდღიურ მუშაობაში.

ამ საკითხს დიდი ყურადღება მიაქცია დივპარტკონფერენციამ.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ რეზოლიუციის ერთ-ერთი მუხლი, რომელიც მიღებული იქნა 1 დივიზიის მე-5 კონფერენციის მიერ პარტ-კომისიის მომავალ მუშაობის გარშემო. აღნიშნული რეზოლიუციის მუხლი ლაპარაკობს: პარტ-კომისიის დაახლოვებას კომკავშირთან აქვს დიდი მნიშვნელობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ პარტ-კომისია უახლოვდება კომკავშირის ორგანიზაციას, ესწრება მათ თათბირებს, კრებებს, ისმენს მათ მიერ ჩატარებულ მუშაობის შედეგებს, სინჯავს მათ ოქმებს, თუ საჭიროება მოითხოვს, აძლევს დარიგებებს და სხვა. მხოლოდ ოფიციალურათ პარტ-კომისია არ ერევა მათ მუშაობაში.

ასეთი დადგენილება პარტ-კომისიის კომკავშირის ორგანიზაციასთან დაახლოვების შესახებ პირველათ არის მიღებული ჩვენს მუშაობაში. მუშაობა-ს ეს მეთოდი აუცილებლად ნიშნავს მე-14 ყრილობის დადგენილების განხორციელებას ამ დარგში.

ასეთი დაახლოვებით პარტ-კომისია ერთგვარ წვლილს შეიტანს კომკავშირის ორგანიზაციის განმტკიცების საქმეში, რაც საუკეთესო თავდები იქნება კომკავშირის ორგანიზაციის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

მომავალში პარტ-კომისია მიიღებს ზომებს ჩვენი დივიზიის პარტ-კონფერენციის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ. მხოლოთ კომკავშირის ორგანიზაცია წითელ ჯარში კარგათ უნდა დაუკვირდეს პარტ-კომისიის დაახლოვების საკითხს, რომელიც მიიღო მე-5 კონფერენციამ და თავისი ორგანიზაციული მუშაობა ისე დააყენოს, რომ რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერი იქნეს მათი მუშაობა მომავალში, ვიდრე ეს იყო წინეთ.

ს. ლომიძე.

## ჩვენი კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციასთან.

მე-5 ლეგიონის მე-2 კომუჯრედი.

უკანასკნელად უჯრედს წევრების საკმაო რიცხვი შეემატა, რამაც გამოაცოცხლა მისი მუშაობა. უჯრედის მიერ იმართება სისტემატიური მეცადინეობა ცალკე ბირთვებში, ხელმძღვანელობს კედლის გაზეთს და რაც აღსანიშნავია ცხოველი კავშირი გვაქვს სამოქალაქო ორგანიზაციასთან. არც ერთი მნიშვნელოვანი კრება არ გაიმართება ქალაქის ორგანიზაციის მიერ, რომ ჩვენი უჯრედის შემადგენლობა არ დაესწროს მთლიანად.

2 თებერვალს ჩვენი უჯრედი დაესწრო სამოქალაქო ორგანიზაციის გაფართოვებულ სხდომას ინტერნაციონალის კლუბში. მოვისმინეთ მოხსენება ქუთაისის სამაზრო აღმასკომის კომუნალური მეურნეობის საბჭოს წარმომადგენლის, სადაც დაწვრილებით გავეცანით აღნიშნული ორგანოს მოღვაწეობას.

სხვათა შორის კომუნალურ განყოფილებას ზომები მიუღია სამხედრო ორგანიზაციებზე ბინის და განათების მიწოდებით, მუშათა მდგომარეობისა, მათი ხელფასის აწევაში, და მათი კვალიფიკაციის გაზრდის საქმეში.

მას საკმაო მიღწევები ქონებია აგრეთვე ცალკე პროვინციებში, როგორიცაა გზების შეკეთება, სასწავლებლების აგება და განსაკუთრებით ბრძოლა საქონლის ჭირთან, რომელსაც დიდი ნაყოფი გამოუღია.

ყველა ამ მიღწევებმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა სამხედრო ორგანიზაციის რიგებში. იმედია, რომ კიდევ გავეცნობით ბევრ სხვა განყოფილების მუშაობას ასეთი გაერთიანებული კრებებით.

გ. ქყონია.

## მოგვეცით ზამთრის საბნები.

5-ე ლეგიონის 2 ე ათასეული.

ჩვენს ნაწილში წითელ არმიელებისათვის არ დაურიგებიათ საზამთრო საბნები, რაც ცუდ მდგომარეობაში აყენებს ამხანაგებს. ათასეულში გვაქვს საბნები, მაგრამ საზაფხულოა ...გრც ძველი, სითბო გამოლეული. საჭიროა სამნეო ნაწილის უფროსი ყურადღებას მოგვაქცევდეს და მიიღებდეს ზომებს საბნების შეძენისათვის.

დიდი სიცივეებია და ასეთ მდგომარეობაში ყოფნა გამოიწვევს რაიმე ავათმყოფობას.

სამხკორი პატარა მთიელი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## დაუშვებელი მოვლენა.

ნაწილების საყურადღებოთ.

განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირი კულტ-მუშაობის სახით, წითელი არმიის ნაწილებს უმართავს წარმოდგენებს სახელმწიფო დრამაში და ოპერაში დროგამოშვებით. ამ მიზნით გუშინ 8 თებერვალს დრამაში დადგმული იქნა პიესა „დეზერტირკა.“ ბილეთები დაურიგდა ნაწილებს. დამსწრე საზოგადოების სიჭრელე აღემატებოდა ყოველივე მოლოდინს, წითელ არმიელების მაგივრად თავი მოიყარა კერძო მოქალაქეთა საგრძნობმა რიცხვმა. იმ დროს, როდესაც თეატრის მოღვაწენი დიდ ენერგიას და დროს ხარჯავენ, რომ ჩვენს წითელ არმიელებს სამსახური გაუწიონ, ჩვენი ნაწილები ბილეთების უთავბოლო განაწილებით ამ მიზანს ივიწყებენ.

ეს მოვლენა მომავალში არ უნდა გამეორდეს. წითელ არმიელებისათვის დადგმული სპექტაკლი მართლა წითელ არმიელების უნდა იყოს.

ადამაძე.

## სამაგალითო მეთაური.

(მე-2 ლეგ. № ასეული.)

№ ასეულს მეთაურობს ამხ. ბერიშვილი და უნდა აღინიშნოს, რომ ის იშვიათ ამხანაგურ დამოკიდებულებაში იმყოფება წითელ არმიელებთან. ამხ. ბერიშვილი სავალდებულო საათების შემდეგ არც ერთს წუთს არ კარგავს, და წითელ არმიელებთან ერთად აშუქებს სხვა და სხვა საინტერესო საკითხებს, ის არ ზოგავს ენერგიას, რომ აღზარდოს პოლიტიკურათ და სამხედრო საქმით გაწვრთნილი მეომრები. მან გამოყო ღამის საათები და მოუწოდა წითელ არმიელებს, რომ ისწავლონ ანგარიში და რუსული წერა-კითხვა. ასეთმა საქციელმა წითელ არმიელებიც დააინტერესა და გულმოდგინეთ შეუდგენ მეცადინეობას.

ამხ. ბერიშვილის ენერგიული მუშაობით დღეს ჩვენს წითელ არმიელებს თავისუფლად შეუძლიათ რუსული ენაზე წერაც და კითხვაც, რომელიც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. თავისი ენერგიული მუშაობით ამხ. ბერიშვილი უნდა ჩაითვალოს—სამაგალითოდ ჩვენს ასეულში.

ასეულის წითელ არმიელები დიდ მადლობას უცხადებთ მას ასეთი მუშაობისათვის.

ა. აკ—ძე.

## ერთი გავისტუმრეთ, ვემზადებით მეორის მისაღებად.

6-ხე ლეგ. 5-თე ასეული.

ჩვენი წერტი ემსახურება ცამეტ სოფელს. 1904 წ. დაბადებულებთან უკვე დავამთავრეთ მეცადინეობა და შესაფერი შედეგებიც მივიღეთ. ამ ჟამად წერტზე მდგარი ჩვენი ასეულის შემადგენლობა ემზადება 1905 წ. დაბადებულ ახალგაზრდობის მისაღებად. ამისათვის უკვე დაიწყო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. ასეულის მთელი შემადგენლობა უკვე აწარმოებს შესაფერ აგიტაციას ყველა სოფლებში. ჩვენ გვიხდება ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად საუბრებისა და მოხსენებების ჩატარება, რომლის დროსაც ფართოდ ვეხებით საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობას და მისი გატარების წესებს. საუბრებში და მოხსენებებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ დედაკაცებიც, რადგან ყველაფერი ეს ხდება სოფლებში უბნობით. ჯერ-ჯერობით ასეთები ჩავატარეთ ქვემო მაჩხაანში, ზემო მაჩხაანში, მირზაანში, ბოდბის ხევში; ასეთივე გეგმით გაემგზავრა ასეული ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად სხვა და სხვა სოფლებში.

სამხკორი მეფარიშვილი.

## რით ვიხელმძღვანელოთ სკოლის გარეშე მუშაობაში.

ჩვენი ნაწილების მუშაობა სკოლის გარეშე პროპაგანდის დარგში, დამყარებულია მხოლოდ პირად გამოცდილებაზე და იმ დებულებაზე, რომელიც გათვალისწინებულია, ქართულ ბიულეტენ № 4-ში. ამის გარდა ნაწილებს არ მოეპოებად არავითარი ლიტერატურა, განსაკუთრებით ქართულ ენაზე.

ამ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დღეს, ამას აღნიშნავდენ მთელი რიგი პარტიული ყრილობები და დივიზ. პარტკონფერენციებიც.

**როგორ უნდა მოვიქცეთ?**

რომ ნაყოფიერი იქნეს მუშაობა ამ დარგში ამიტომ საჭიროა, ჩვენს გაზეთ „წითელ არმიელის“ ფურცელზე სისტემატიურათ შუქდებოდეს, ამ მუშაობის შინაარსი და მისი უმთავრესი მეთოდები და ფორმები. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ წარსული მუშაობის გამოცდილებიდან და უნდა აღვნიშნოთ ჩვენი წერილებით რა ნაკლი ქონდა მას, რა ელობება ამ მუშაობას წინ, როგორ გადავლახოთ ყოველივე დაბრკოლებანი და რომელი მეთოდები და ფორმები უფრო გამოსადეგია ჩვენ ქართულ ნაწილებში აღნიშნულ მუშაობის გატარების დროს.

**ვინ უნდა წეროს.**

შეიძლება ზოგიერთ ამხანაგს დაებადოს აზრი იმის შესახებ, რომ გაზეთში ეს შეიძლება გაშუქებული იქნეს მხოლოდ სამხკორების მიერ მაგრამ ეს არ იქნება სავსებით სწორი. სამხკორებთან ერთად უფრო განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ საკითხის ფართოთ გაშუქებაში, თვით სკოლის გარეშე მუშაკებმა; კლუბის უფროსებმა, ბიბლიოთეკარებმა, წრის ხელმძღვანელებმა, ლენინის კუთხის გამგეებმა და სხ.

ამით ჩვენ უნდა მოვახდინოთ ჩვენი გამოცდილების ურთიერთშორის ფართოთ გაცნობა, გამოცდილების მიღების მიზნით და ამას არ უნდა მიეცეს დისკუსიის ხასიათი, არამედ ჩვენ უნდა გავაშუქოთ მუშაობის ძირითადი საკითხები ისე რომ, ნაწილებმა ეს გამოიყენონ მუშაობის დროს.

(გაგრძელება იქნება)

ს. გეგია.

## გაზეთებსაც იწერენ.

ცხენ. ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის წითელ არმიელები ძლიერ დაინტერესებული არიან ჩვენი მესაიდუმლე გაზ. „წითელ არმიელით“. პირველი ესკადრონის წითელ არმიელების ერთმა ჯგუფმა ცალ-ცალკე გამოიწერეს ის.

ეს გარემოება ერთხელ კიდევ ამართლებს, თუ აღნიშნული გაზეთი რამდენად ძვირფასია ჩვენთვის და როგორ უყურებენ მას ჩვენი წითელ არმიელები. ის ჩვენი ცხოვრების სარკეა და ჩვენი დარაჯი, ჩვენი გამათვითცნობიერებელი.

მიბაძეთ ცხენ. ლეგიონის პირველი ესკადრონის წითელ-არმიელებს, სხვა ნაწილების წითელ არმიელებო. თქვენც გამოიწერეთ ჩვენი გაზეთი.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## ვინ მიაქცევს ყურადღებას.

თბილისის სამხედრო საავადმყოფო.

თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში სამი დღეა, რაც სადილი გაუარესდა, ხორცი რომელსაც იღებს ავათმყოფები კარგად მყოფსაც ავად გახდის და ავადმყოფები კი სრულიად ვერ სჭამენ.

საავადმყოფოში სანიტარული წესი მტკიცედ უნდა იყოს დაცული, მაგრამ აქაც ძლიერ ცოტა ყურადღება ექცევა მას; სანიტარი სადილის დარიგებას და ჭურჭლის დარეცხას რომ გაათავებს, შემდეგ იცვამს ხალათს.

სამნეო ნაწილის უფროსო, შენი საქმეა ამის გასწორება. მიაქციე ყურადღება.

წ. არმ. ავადმყოფი.

## ჩვენი მუშაობა.

2-ე ლეგიონის 2-ე ასეული.

ჩვენს ასეულში მიმდინარეობს მუშაობა. როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური სწავლების დარგებში წითელ არმიელები კარგად ითვისებენ ყველაფერს. გარდა სავალდებულო მეცადინეობისა, ასეულში შესდგა აგრეთვე მსურველთა ჯგუფები, რომლებიც მეცადინეობენ ზედმეტ საათებში.

ლენინის კუთხე ყოველ საღამოობით სავსეა წითელ არმიელებით, რომლებიც კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, სწარმოებს ხმამაღალი კითხვაც უცოდინართათვის და კითხვა-პასუხი.

სულ მცირე დრო კიდევ და ასეულში უკვე აღარ იქნება წერა-კითხვის არც ერთი უცოდინარი.

ასეულის კედლის გაზეთში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ წითელ არმიელები, ვისაც როგორ შეუძლია.

ასე მიმდინარეობს ჩვენი ცხოვრება და მუშაობა, რაც დარწმუნებული ვართ, მალე დიდ შედეგებს მოგვცემს.

სამხკორი ი. ჩ.

## ვაწყობთ სამხედრო კუთხეებს.

4-ხე ლეგ. 8-ვე ასეული.

ჩვენი ასეული ენერგიულად ჩაება მოსახლეობის გასამხედროებისათვის წარმოებულ მუშაობაში. ჯერ-ჯერობით მოვაწყვეთ სამი სამხედრო კუთხე. ერთი თვით ასეულში, ერთი კომკავშირის კლუბში და ერთიც სოფელ უდეში კომკავშირის კლუბში ყოველ-საღამოობით ვატარებთ მეცადინეობას. სოფელ უდეში, კი ვინაიდან ის ძლიერ დაცილებულია ჩვენგან—ორკვირაში ერთჯერ. ასეულში კი ყოველ დღე ვმეცადინეობთ, მაგრამ ღამით მეცადინეობაში ხელს გვიშლის უსინათლობა, თავისუფალი დრო კი უფრო ღამით გვაქვს. არც ლენინის კუთხეში და არც სამხედრო კუთხეში არ არის გაყვანილი განათება.

ასეულში ჩამოყალიბდა აგრეთვე ქიმიის შემსწავლელი წრე. წითელ არმიელები დიდათ დაინტერესებული არიან ამ წრის მუშაობით და ენერგიულად ითვისებენ ყველაფერს.

იმედია ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ჩვენ სინათლე არა გვაქვს, გამოგვიყვანს მას და საშვალებას მოგვცემს უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის.

სამხკორი გაყინული.

# საქართველოს გასაბჭოე-ბის დღე.

ცირკულიარულად

ს. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

მიმდინარე წლის 25 თებერვალს სრულდება საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავი. საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავის სადღესასწაულო კამპანიის ჩატარება უნდა ეხებოდეს უმთავრესად იმ მიღწევათა განმარტებას მშრომელი მასის ფართე ფენებში, რაც მოიპოვა მუშებმა და მშრომელმა გლეხობამ კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე. საქართველოს გასაბჭოების წლის თავი ხვდება წითელ არმიის 8 წლის თავს. ამისათვის საჭიროა საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავის დღესასწაულის ჩატარების დროს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს წითელი არმიის და კერძოდ ა.-კ. წითელ-დროშოვან არმიის დამსახურებას საქართველოს მუშებისა და გლეხების წინაშე. მის როლს საქართველოს გასაბჭოებაში, ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარებაში ამიერ-კავკასიის ცალკე ერებს შორის და სხვა. მასებს უნდა განემარტოს აგრეთვე ქართული წითელი ლაშქრის მნიშვნელობა და საერთოდ წითელი არმიის მონაწილეობა ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში.

25 თებერვლის დღესასწაულის ჩატარებისათვის მიღებული უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებანი.

1. მუშათა რაიონებში, საოლქო, სამაზრო და რაიონულ ცენტრებში მოწყობილ უნდა იქნეს დემონსტრაცია-მიტინგი და სამხედრო ნაწილების აღლუმები, სადაც ჯარები სდგას. დემონსტრაციაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნან მხოლოდ იმ სოფლის საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საერთოდ მშრომელი გლეხობა, რომელნიც ახლოს იმყოფებიან დემონსტრაციის ადგილიდან.

მნიშვნელოვან თემებში მოწვეული უნდა იქნეს მიტინგი. აღნიშნულ ადგილებში დემონსტრაცია-მიტინგების შემდეგ უნდა მოეწყოს ადგილობრივ საბჭოს გაფართოებული პლენუმი (სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციის წევრთა და ფართე მასის თანადასწრებით). სასურველია, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, ადგილობრივი ძალებით და საშუალებებით მოეწყოს საბჭოს გაფართოვებული პლენუმის შემდეგ უფასო წარმოდგენა-საღამო.

2. თემები მოხსენებისათვის იქნება შემდეგი: ა) „საქართველო მენშევიკების ბატონობის დროს;“ ბ) „საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები საქართველოს გასაბჭოების 5 წლის თავზე“; გ) „რა მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ სოფელს“. დ) ა.-კ. წითელ-დროშოვან არმიის დამსახურება“.

3. ყველა საოლქო სამაზრო კომიტეტებმა უნდა მოახდინონ პროპაგანდისტთა მობილიზაცია და მიავლინონ ადგილებზე მომხსენებლებათ. საჭიროა რამოდენიმე დღით ადრე იქნან ადგილებზე მივლინებული მომხსენებლები, რათა მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულის ჩატარების წინასწარ სამზადისის მუშაობაში. ვიდრე მომხსენებლები მივლინებული იქნებოდენ ადგილებზე, მანამდის საჭიროა წინასწარ იქნას გარჩეული საინსტრუქციო მოხსენების სახით ზემოთ აღნიშნული თემები.

4. ყოველ საოლქო სამაზრო ცენტრში უნდა მოეწყოს დღესასწაულის მომწყობი საოლქო-სამაზრო კომისია. კომისიაში უნდა შევიდნენ: პარტკომის, აღმასკომის, პროფკავშირის, ქალთა განყოფილების და აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ზემოაღნიშნულ თემებზე მოხსენებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ჟურ. „კომუნისტის თანამგზავრი“-ს მე-3 №-ში მოთავსებული წერილები.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი
მ. ოკუჯავა.
სააგიტ.-პროპ. განყ. გამგე
ბახტაძე.

## საქ. გასაბჭოების და წით. არმიის 8 წლის თავის დღესასწაულის ჩატარების გეგმა ქ. თბილისში.

თბილისის აღმასკომთან შესდგა განსაკუთრებული კომისია საქართველოს გასაბჭოებისა და წითელი არმიის 8 წლის თავის დღესასწაულებისჩასატარებლათ თბილისში და მის მაზრაში.

კომისიამ გამოიმუშავა შემდეგი გეგმა:

23 თებერვალს, საღამოს—ჩატარებულ იქნება საკლუბო მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ საქართველოში 5 წლის თავზე და წითელი არმიის მნიშვნელობაზე, მისი 8 წლის არსებობის თავთან დაკავშირებით.

24 თებერვალს—საღამოს საზეიმო სხდომა საქართველოს ცაკისა, თბილისის აღმასკომთან ერთად და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

ქალაქი—საღამოს იქნება მორთული და განათებული ფერადი სინათლეებით.

25 თებერვალს—დღით გაიმართება წითელი არმიის აღლუმი და მუშების დემონსტრაცია.

საღამოს—უფასო კინო და უფასო წარმოდგენები ყველა თეატრებში (ბილეთები წინდაწინვე დარიგდება).

26, 27 და 28 თებერვალს იწარმოებს საკლუბო მუშაობა.

**სამხედრო კუთხეები.**

21 თებერვალს ჩატარებულ იქნება მოხსენებები წითელი არმიის აღმშენებლობის შესახებ და ამავე დღეს მოხდება სამხედრო კუთხეების გახსნა.

**მაზრაში.**

მაზრაში აღნიშნულ დღესასწაულების ღირსეულათ ჩასატარებლათ, აღმასკომმა დაადგინა მიავლინოს თემებში პასუხისმგებელი ამხანაგები.

ყოველ თემში გაიმართება გლეხების ყრილობები, სადაც გამოვლენ მოხსენებებით საქართველოს გასაბჭოებისა და წითელი არმიის აღმშენებლობის შესახებ.

თემებშიც უკვე მოეწყო გლეხების მიერ, დღესასწაულების ჩამტარებელი კომისიები.

# ახალი ამბები.

**— დახმარება უმუშევრებს.** ტფ. დამზღვ. სალაროლ დაზღვეულ უმუშევრებს მისცა დახმარებათ 23.063 მანეთი.

**— შაქარი.** შაქრის ტრესტს ამჟამად ტფილისში აქვს 107 რონოლდა შაქარი, რაც ტფილისს ეყოფა 4 თვეს.

**— მუშათა სასახლეში** იხსნება საფოსტო განყოფილება.

**— ტყის მოსაშენებლათ.** სატყეო განყოფილებამ მიიღო რუსეთიდან სხვა და სხვა ჯიშის ხეების თესლი—ტყის მოშენების მიზნით.

**— სახლების შესაკეთებლათ.** ტფ. კომუნალურმა განკმა სახლების შესაკეთებლათ გასცა 200 ათასი მანეთი სესხი.

**— თხილის გატანა.** საქართველოდან ინგლისსა და ამერიკაში გატანილ იქნა წელს 100 ათასი ფუთი თხილი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**მოაზროვნე მანქანა.**

„მოაზროვნე მანქანა“, რომელიც ასრულებს ადამიანის გონების მაგიერობას, ერთი შეხედვით დაუჯერებელი მოვლენაა.

ნუ თუ მართლა შეუძლია უსულო მანქანას გასწიოს ადამიანის აზროვნების შემოქმედებითი ელემენტის მაგიერობა?

—მაგრამ როგორც სჩანს, მანქანას არა თუ შეუძლია, არამედ მას კიდევ უფრო ლოღიკური დასკვნები გამოყავს ვინემ ადამიანის გონებასო— ამბობს პროფ. შუკარევი.

„მოაზროვნე მანქანა“ არაა ახალი აღმოჩენა. ამ მანქანის კონსტრუქცია ეკუთვნის ინგლისელ მეცნიერს—დჟონსს, რომელიც შემდეგ გააუმჯობესა რუს პროფესორ პოლეცკიმ, ხოლო პროფ. შუკარევმა გამოიყენა ის დანიშნულებისამებრ.

ეს მანქანა პროფ შუკარევმა აღმოაჩინა ხარკოვის უნივერსიტეტში, რომელიც მთელ თავის ქონებასთან ერთად უნივერსიტეტისათვის გადაუცია ხრუშჩოვს, რომელმაც დჟონსის კარნახით დაამზადა ის.

რას წარმოადგენს მოაზროვნე მანქანა?

პროფ. შუკარევი განმარტავს: ადამიანის აზი შესდგება ცნებების, მსჯელობის და დასკვნისაგან. დასკვნა-მექანიკური პროცესია. ცნება და მსჯელობაკი აზრის შემოქმედებითი ელემენტი. თუ დიდი რიცხვების მიმატება და გამრავლება ადვილად სწარმოებს მანქანებით—არიფმომეტრებით, რატომ არ შეიძლება, რომ წმინდა მექანიკური პროცესის—დასკვნის გამოყვანა შეიძლებოდეს მანქანის საშვალებით? აი ასეთი მანქანაა „მოაზროვნე მანქანა“.

მანქანის მოწყობილება სულ უბრალოა. ის წარმოადგენს 1-მეტრის სიმაღლის ყუთს. აქვს კლავიშები. ყუთიდან ეკრანის ტილოს უერთდება მავთულები. აი ამ ტილოზე მიიღება იმის პასუხი რასაც შეეკითხებით მანქანას. პრაქტიკულად მანქანა დიდ დახმარებას გაუწევს იურისტებს, პედაგოგებს და სხვა.

„მოაზროვნე მანქანის ჩვენება ყველგან დიდ ინტერესს იწვევს. ამ მანქანის საშვალებით 1916 წელში შემოწმებული იქნა როსტოვის ერთერთი მომრიგებელი მოსამართლის დადგენილება.

მანქნამ დადგენილება ისე აჩვენა, როგორათაც ის გამოიტანა მოსამართლემ. მას სწორი დასკვნა გამოუტანია დამნაშავეზე. მას შემდეგ მანქანა მრავალჯერ იქნა გაშინჯული.

მოახდინეს ცდა ერთი ფილოსოფიური პრობლემის გადასაჭრელად მანქანის საშვალებით, რომელიც ადამიანის გონებამ მრავალი საუკუნოების განმავლობაში ვერ გადასჭრა. მანქანამ აქაც გაიმარჯვა.

ბევრი ისეთ კითხვებს აძლევდა მანქანას, როგორც მაგალითად თუ რომელი ნომერი კალოშებს ვატარებ მეო. რა თქმა უნდა ამაზე პასუხს ვერ მიიღებდა შემკითხველი.

## პასუხი შეკითხვებზე.

**ლ. მჭედლიშვილს.** სამოქალაქო ტანსაცმელის ტარების უფლება აქ თ (სამსახურის გარეშე) მხოლოდ ოცის თავიდან დაწყებული ზევით. (შინაგან სამსახურის წესდება მუხ. 20).

**გ. ო.** თუ ტარების ვადა გაუთავდა თქვენს ტანსაცმელს უნდა მოგეცეთ ახალი.

**ბუკიას.** საზამთრო ტანსაცმელს არიგებენ ოქტომბრიდან.

**ალანიას.** სავეტერინარიო საფერშლო კურსები ლენინგრადშია. ეროვნულ ნაწილებიდან იქ იგზავნებიან წ. არმიელები.

**ტურბილაძეს.** ოჯახური მდგომარეობა თქვენ არ განთავისუფლებთ სამხედრო სამსახურიდან.

**ი. სიხარულიძეს.** უვადო შვებულებაში წახვალთ მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

**არმიელს.** კერძო ბინაზე წ. არმიელს ცხოვრება არ შეუძლია.

**მთაწმინდელს.** ზედმეტ მსახურათ დარჩენისთვის საჭიროა შუამდგომლობა აღძრათ უფროსის წინაშე.

**თელაველს.** კერძო ბინა არ გენახებათ, რადგან თქვენ ბრძანების თანახმად უნდა იცხოვროთ ყაზარმაში.

**შოფერს.** ვინაიდან თქვენ დებულობთ განსაზღვრულ ჯამაგირს, ამიტომ არ შეიძლება თქვენმა ოჯახმა დახმარება მიიღოს სოც. უზრუნველყოფის კომისარიატიდან.

## ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხ. ამხ. ქალიაშვილის და შველიძის გამოწვევისა, ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ სამ ცალს სამი თვით, გორის მაზრის სოფ. ქვემოჭალის ქოხ-სამკითხველოსათვის ორ ცალს და ამავე სოფელში მცხოვრებ გლეხ ამხ. გიორგი ვასოსძე კარბელაშვილისათვის ერთ ცალს.

ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

მე-4 ქ. მ. ლეგიონიდან:

მეთაურებს ამხ. ამხ. კვიცარიძეს, პერტენავას, ბახტაძე ილიას, ივარდავას, ქაჯაიას, იაშვილ სვიმონს და კაჭარავას, ლექტორებს: ფცქიალაძეს, მელიქიას და ჭედიძეს; ასმეთაურებს: ქინქლაძე მიშას, მაღალთაძეს. კლუბის უფროსს ამხ. ტუღუშს, სამნეო ნაწილის უფროსს ამხ. ცქიტიშვილს, ბიურო-კოლექტივის მდივანს ამხ. ტაბუცაძეს და სამხკომს ამხ. ნანაძეს.

1-ლ ლეგიონიდან:

მეთაურებს: ოდიშარიას, წოწორიას, დოლაბერიძეს და სილაქაძეს;

მეთაურთა სკოლიდან:

ბელიას, მაღალაშვილს, კიკნაძეს, გველესიანს, ათასეულის მეთაურს ადამიძეს და სკ. უფროსს ტალახაძეს;

1-ლ არტ-ლეგიონიდან:

ამხ. ამხ. მეთ. ბეგთაბეგოვს და მეტრეველ ვასოს.

მე-5 ლეგიონიდან;

პოლიტ-ხელს: ბალათურიას მეთ. ასლანაძეს, მაღარაძეს და გურეშიძეს.

მე-6 ლეგიონიდან:

მეთ. დანელიას, გიგინეიშვილს, უთუდაურ ვასოს, ყურაშვილს, ხეცურიანს და ლეგ. მეთაურს ამხ. გრიგოლიას.

მე-4 ლეგსკოლის ოცმეთაური.

საშა კუსრაშვილი.

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“**

## ჩვენი ფოსტა

**ამხ. წითელს (ცხენ. ლეგ.).** თქვენი კორესპონდენცია „ძველი წითელარმიელების მეცადინეობისათვის გამოყოფის შესახებ“, გადაეგზავნა ლეგ. სამხედრო კომისარს საჭირო ზომების მისაღებათ.

**ამხ. ჭან—იას (მე-2 ლეგ.).** კორესპონდენცია „მე-2 ლეგიონი“ არ დაიბეჭდება. მოიწერეთ ლეგიონის ცხოვრებაზე.

**ამხ. ფუხარას (მე-2 ლეგ.).** კორესპონდენცია „კომენდანტის საყურადღებოთ“ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ლევაშვილს, ღვინიაშვილს და ეკნარს (მე-2 ლეგ.).** თქვენი მისალმებანი ძლიერ დაგვიანებულია, ამის გამო არ დაიბეჭდება.

**ამხ. ვ—ცა-ს (მე-2 ლეგიონი).** კორესპონდენცია „კავშირი სოფელთან“ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში ვრცელი კორესპონდენცია თქვენი ნაწილიდან.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ლეგიონის 8-ვე ასეულის უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომკავშირიდან პარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ ამხ. მიხ. ოჩიგავას (კომკავშირის წევრი 1919 წლიდან სოფ. მეჯითის მცხოვრები, სენაკის მაზრა). თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ამის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ წერილობით ან სიტყვიერად 1-ლი ლეგ. 8-ვე ასეულის უჯრედში.

**დაიკარგა** კომპარტიის ცეკადან გაცემული მოწმობა № 501606 ალექსანდრე მუნჯიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიკარგა** ახკომკავშირის ორგანიზაციიდან გაცემული მანდატი № 12996 ე. ყუბანეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი